<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ანდრო ჟორდანიას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ვახტანგ და ამირან კაპანაძეების სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) კრწანისის რაიონში, ანდრო ჟორდანიას ქუჩის მონაკვეთს და მასთან მდებარე ორ უსახელო შესახვევს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ვახტანგ და ამირან კაპანაძეების სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=491732 Y=4610693
X=491664 Y=4610636
I შეს
II შეს
491472 Y=4610486
ვახტანგ და ამირან კაპანაძეების ქ.
X=492229 Y=4610498
X=491692 Y=4610503
X=491756 Y=4610507

16.07.19 15-031919747-03

სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. 75
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service of
Veterans Affairs
75 Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00005660

15/03/2018

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ **კახა კალაძეს**

ასლი: რიჩარდ კაპანაძეს
მცხ.: თბილისი, მარნეულის გზატკეცილი N19

ბატონო **კახა**,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში მიმდინარე წლის 21 თებერვალს N 3884 განცხადებით მომართა მოქალაქე რიჩარდ კაპანაძემ შუამდგომლობისათვის, ქალაქ თბილისში მდებარე მარნეულის გზატკეცილისათვის მისი შვილების, ამირან და ვახტანგ კაპანაძეების სახელის მინიჭების თაობაზე.

განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, ამირან და ვახტანგ კაპანაძეები ირიცხებოდნენ, საქართველოს შეიარაღებული ძალების 23-ე მექანიზირებული ბრიგადის, ცალკეული საარტილერიო დივიზიონის შემადგენლობაში და მონაწილეობას იღებდნენ აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. კაპიტანი ვახტანგ რიჩარდის ძე კაპანაძე დაიღუპა ქალაქ სოხუმში 1992 წლის 5 მაისს ერთ-ერთ საბრძოლო ოპერაციის დროს, ხოლო მისი ძმა ამირან რიჩარდის ძე კაპანაძე დაღუპულია 1994 წელის 31 აგვისტოს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. ამირან და ვახტანგ კაპანაძეები დაჯილოებულნი არიან მედლით "მხედრული მამაცობისათვის"

როგორც მოგეხსენებათ „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ" პუნქტის საფუძველზე სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ერთ-ერთი ფორმაა სამშობლოს დაცვისას დაღუპულისა და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომრის სახელისა და გვარის დარქმევა ქუჩისათვის, მოედანისათვის, დაწესებულებისათვის, სკოლისათვის, აგრეთვე სამხედრო ნაწილისა და გემისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საბრძოლო ოპერაციების ჩატარების დროს.

გიგზავნით განცხადებას და გთხოვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იმსჯელოთ აღნიშნულის შესახებ და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ განმცხადებელს და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი პირველ ადრესატს.

დირექტორის პირველი მოადგილე
ნიკოლოზ კვეზერელი

საქართველოს კანონი
სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფა

1. ხსოვნის უკვდავყოფას ექვემდებარება:

ა) სამშობლოს დაცვისას საბრძოლო მოქმედების, საბრძოლო ამოცანის ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული აწ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი;

ბ) უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო მოვალეობის შესრულებისას დაღუპული საქართველოს მოქალაქე;

გ) ომის მონაწილე, აგრეთვე სამშობლოს დაცვისას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების გამო გარდაცვლილი;

დ) ტყვედ ჩავარდნილი საქართველოს მოქალაქე (გარდა წებაყოფლობითი ტყვეობისა), რომელიც ტყვეობაში დაიღუპა ან გარდაიცვალა;

ე) უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც დაიღუპა საქართველოს დაცვისას.

2. უკვდავყოფას ექვემდებარება საჯარისო გაერთიანება, შეწყობილება და სამხედრო ნაწილი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სამშობლოს დაცვისას, აგრეთვე საბრძოლო მოქმედების ცალკეული ტერიტორიები და ადგილები, რომლებიც ისტორიაში შევიდნენ როგორც გმირობის, თავდადებისა და სიმტკიცის სიმბოლო.

მუხლი 2. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ძირითადი ფორმები

1. სამშობლოს დაცვისას დაღუპულისა და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომრის ხსოვნის უკვდავყოფის ძირითადი ფორმებია:

ა) სამხედრო სასაფლაოს, სამარხის, მემორიალური ობიექტების (შემდეგში – სამხედრო სასაფლაოს), აგრეთვე ძეგლისა და ობელისკის დაცვა და კეთილმოწყობა;

ბ) სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა გმირობასთან ისტორიულად დაკავშირებული ცალკეული ტერიტორიებისა და ადგილების დაცვა და კეთილმოწყობა;

გ) სამშობლოს დაცვისას დაღუპულის გვარისა და სხვა მონაცემების ხსოვნის წიგნში შეტანა;

დ) მემორიალური შუხეუმის დაარსება, გამოფენის მოწყობა, სამხედრო-სამეცნიერო და სამხედრო-ისტორიული კონფერენციების ჩატარება, საბრძოლო მოქმედების ადგილზე სამახსოვრო წარწერის გაკეთება;

ე) სამშობლოს დაცვისას დაღუპულისა და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომრის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მასალის პუბლიკაცია, მათ გმირობასა და თავდადებაზე ხელოვნებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნა;

ვ) სამშობლოს დაცვისას დაღუპულისა და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომრის სახელისა და გვარის დარქმევა ქუჩისათვის, მოედნისათვის, დაწესებულებისათვის, სკოლისათვის, აგრეთვე სამხედრო ნაწილისა და გემისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საბრძოლო ოპერაციების ჩატარების დროს.

2. სამთავრობო დაწესებულებების გადაწყვეტილებით სამშობლოს დამცველთა ხსოვნის უკვდავყოფისათვის შეიძლება განხორციელდეს სხვა ღონისძიებებიც.

თავი II სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სამხედრო სასაფლაოს სახელმწიფო აღრიცხვა, რეგისტრაცია, დაცვა, კეთილმოწყობა და აღდგენა

მუხლი 3. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სამხედრო სასაფლაო

სამხედრო სასაფლაოებს განეკუთვნება:

ა) სამხედრო-მემორიალური სასაფლაო;

ბ) საომარ-სამხედრო სასაფლაო (სამარხი);

გ) საზღვაო და საჰაერო ხომალდების პირადი შემადგენლობის დაღუპვის ადგილები.

მუხლი 4. სამხედრო სასაფლაოს სახელმწიფო აღრიცხვა, რეგისტრაცია, დაცვა და კეთილმოწყობა

1. სამხედრო სასაფლაო ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვას. საქართველოს ტერიტორიაზე მას აღრიცხავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ხოლო უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე – საქართველოს წარმომადგენლობა. თითოეულ სამხედრო საფლავზე კეთდება მემორიალური დაფა და დგება პასპორტი.

2. საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო სასაფლაოს დაცვა და კეთილმოწყობა ეკისრებათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ზუსტბრივი ლანდშაფტის დაცვის ზორების გათვალისწინებით, ხოლო

სამხედრო გარნიზონის ტერიტორიაზე – ამ გარნიზონის ხელმძღვანელობას.
საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

მუხლი 5. სამხედრო სასაფლაოს დაცვის უზრუნველყოფა

1. სამხედრო სასაფლაო დაცული უნდა იქნეს ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.
2. ქალაქისა და სხვა დასახლებული პუნქტის დაგეგმარების, განაშენიანების, რეკონსტრუქციისა და ობიექტის მშენებლობის პროექტები შემუშავდება სამხედრო საფლავის შენარჩუნების გათვალისწინებით.
3. სამშენებლო, მიწის, საგზაო და სხვა სამუშაოები, რომელთა წარმოებისას შესაძლოა დაზიანდეს სამხედრო საფლავი, უნდა ჩატარდეს შესაბამის დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით.
4. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან, მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემულ მიწებზე სამხედრო საფლავის აღმოჩენის შემთხვევაში აცნობონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ფიზიკური და იურიდიული პირები პასუხისმგებელი არიან აგრეთვე ამ მიწებზე არსებული სამხედრო საფლავის დაცვისათვის.
საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი № 3170 - სსმ I, № 19, 01.06.2006 წ., მუხ. 159
საქართველოს 2011 წლის 24 ივნისის კანონი №4962 ვებგვერდი, 06.07.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

მუხლი 6. სამხედრო სასაფლაოს აღდგენა

1. სამხედრო სასაფლაო დაზიანების შემთხვევაში უნდა აღადგინონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა.
2. პასუხისმგებლობა სამხედრო სასაფლაოს დაზიანებისა და შეურაცხყოფისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

თავი III საძიებო სამუშაო

მუხლი 7. საძიებო სამუშაოს ორგანიზება

სამხედრო საფლავისა და დაღუპული მეომრის ნეშტის აღმოჩენის, დაღუპული მეომრის ან უგზო-უკვლოდ დაკარგულის ვინაობის დადგენის მიზნით წარმოებს საძიებო სამუშაოები. საძიებო სამუშაოები ტარდება სამთავრობო დაწესებულებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელობიდან უფლებამოსილი პირების მიერ სპეციალური პროგრამებით.
საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

მუხლი 8. საძიებო სამუშაოს წესი

1. საძიებო სამუშაოს წესი განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტებით.
2. საძიებო სამუშაოს დროს აღმოჩენილი დაღუპული მეომრის ნეშტი უნდა დაიკრძალოს ამ კანონის მე-11 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. ადრე უცნობი სამხედრო საფლავის აღმოჩენისას დგინდება პირის ვინაობა, აგრეთვე ხდება საფლავის აღრიცხვა, რეგისტრაცია, დაცვა და კეთილმოწყობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მოცემულ ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო გარნიზონის მონაწილეობით
საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

თავი IV სამთავრობო დაწესებულებების უფლებამოსილებანი სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფისათვის

მუხლი 9. აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები, რომელთა საქმიანობის სფეროს განეკუთვნება სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფა

1. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფისათვის გაწეულ მუშაობას კოორდინაციას უწევს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყება.
2. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფისათვის გაწეულ მუშაობაში მონაწილეობენ:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ბ[1]) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია;

დ) საქართველოს დაზვერვის სამსახური;

ე) საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური;

ვ) საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

ვ[1]) (ამოღებულია - 07.12.2017, №1704);

თ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

3. საქართველოს შესაბამისი სამინისტრო:

ა) შეიმუშავებს ნორმატიულ აქტებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფისათვის;

ბ) ორგანიზებას უწევს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სამხედრო საფლავების ცენტრალიზებულ აღრიცხვას, მათ შორის, აღრიცხავს საფლავებს, რომლებიც განლაგებულია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე;

გ) თანამშრომლობს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან სამხედრო საფლავების დაცვისა და კეთილმოწყობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამზადებს სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების პროექტებს სამხედრო საფლავების სტატუსის შესახებ;

დ) ორგანიზებას უწევს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა გმირობისა და თავდადების ამსახველი მასალის პროპაგანდას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის ამზადებს პუბლიკაციებსა და საძიებო სამუშაოებისას აღმოჩენილ დაღუპულ მეომართა სიებს,

ე) იხილავს მოქალაქეების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და რელიგიური ორგანიზაციების წინადადებებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის საკითხებზე და იღებს ზომებს მათ განსახორციელებლად.

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3170 - სსმ I, №19,01.06.2006 წ., მუხ. 159
საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი № 2992 - სსმ I, № 24,10.05.2010 წ., მუხ. 157
საქართველოს 2011 წლის 24 ივნისის კანონი №4962 - ვებგვერდი, 06.07.2011წ.
საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.
საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3947 – ვებგვერდი, 15.07.2015წ.
საქართველოს 2015 წლის 25 ნოემბრის კანონი №4555 - ვებგვერდი, 08.12.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1704 – ვებგვერდი, 14.12.2017წ.

თავი V სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება და მათი ოჯახებისათვის დახმარების გაცემა

მუხლი 10. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის (გადასვენების) წესი

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამშობლოს დაცვისას დაღუპული და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომარი უნდა დაიკრძალოს (გადასვენებული იქნეს) სამხედრო პატივის მიგებით. ნებადართულია დაკრძალვა (გადასვენება) ჩატარდეს რელიგიური წესით.

2. საძიებო და სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას აღმოჩენილი დაღუპული მეომრის დაუმარხავი ნეშტის დაკრძალვას უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უცხო ქვეყნის არმიის მეომრის ნეშტი უნდა დაიკრძალოს ამ ქვეყნის წარმომადგენლობის ინფორმირებით და მისი მონაწილეობით.

3. სამშობლოს დაცვისას დაღუპული მეომრის ნეშტის გადასვენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

4. საბრძოლო მოქმედებისას დაღუპული მეომრის დაკრძალვა (გადასვენება) წარმოებს სამხედრო წესდებისა და სარდლობის ბრძანების შესაბამისად.

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

მუხლი 11. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება

1. სამშობლოს დაცვისას დაღუპული და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომარი უნდა დაიკრძალოს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით. დაკრძალვის თანხა უნდა შეადგენდეს: ქალაქ თბილისში – 350 ლარს, თვითმმართველ ქალაქებში – 300 ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტებში – 250 ლარს.

2. მეომარი, რომელიც დაჯილდოებული იყო დავით აღმაშენებლისა და ვახტანგ გორგასლის ორდენებით, ატარებდა საბჭოთა კავშირის გმირის, დიდების სამივე ხარისხის ორდენის კავალერის, გენერლის, ადმირალის წოდებას, უნდა დაიკრძალოს სამხედრო პატივის მიგებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

მუხლი 12. გარდაცვლილი მეომრის ოჯახისათვის დახმარებისა და პენსიის გაცემა

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გარდაცვლილი მეომრის ოჯახის წევრებს ფულად დახმარებას აძლევენ ის ორგანოები, რომლებიც მას პენსიით უზრუნველყოფენ.

2 მეომრის გარდაცვალების შემთხვევაში გაუცემელი პენსია დაუყოვნებლივ მიეცემათ გარდაცვლილის

მუმკვიდრეებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VI გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებების დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

მუხლი 13. გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებების დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

სამშობლოს დამცველთა გმირობასთან დაკავშირებული ცალკეული ტერიტორიების, ადგილებისა და მემორიალური ობიექტების კეთილმოწყობის ხარჯებს გაიღებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირები ნებაყოფლობითი შენატანებითა და შემოწირულებებით.

საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 ვებგვერდი, 08.12.2011წ.

მუხლი 14. პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის

სამშობლოს დაცვისას დაღუპულისა და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომრის სამხედრო საფლავს (ძეგლებსა და მემორიალურ ობიექტებს) იცავს სახელმწიფო. ამ კანონის დარღვევისათვის ფიზიკური და იურიდიული პირების კასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VII დასკვნითი დებულება

მუხლი 15. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2001 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე
თბილისი,

2000 წლის 27 ოქტომბერი.
№581–IIს

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს 2006 წლის 2 5 მაის ის კანონი № 3170 - სსმ I, № 19 , 01 . 06 .200 6 წ., მუხ. 159
2. საქართველოს 20 10 წლის 27 აპრილ ის კანონი № 2992 - სსმ I, № 24 , 10 . 05 .20 10 წ., მუხ. 157
3. საქართველოს 2011 წლის 24 ივნისის კანონი №4962 - ვებგვერდი, 06.07.2011წ.
4. საქართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის კანონი №5293 - ვებგვერდი, 08.12.2011წ.

~~16.07.19 15-031919747-03~~

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მოქ. [illegible]

მცხ. [illegible] №4.

ტელ. [illegible] №6.

599945572

პ/ნ 62003001183

განცხადება

[illegible] ?! — [illegible] [illegible] [illegible]

ბატონმა გიორგი ჩიტაიამ ბრალდებულ ეკონომიკურ
ყოფილ მაღალჩინოსანთა მიერ ჩადენილი ეკონომიკურ
ი ნაკლოვანებანი ერის მიეგება. თუ ასევე ეკონომიკა
ური კანონის ფარგლებში, ეს ყველა კანონის მიმდინა
ობენ ყველა ერის ნებაა.

ბ) ბრალდებულ "ალიოშეკოვის" მიერ ბრალად ყოფილ
ის ნებელი, ასევე ერთ თავის ერთგულ ერთი ბრალი
ნების მაგრ ... ეკონომიკურ ... და ეს
კანონის გამოყენებისა. ბატონ ეს ყველა ვიცი, ასევე
მიეცემა, ეს და ყველაფერ ვიმოქმედეთ იგივე კანონია,
ასევე ასევე ეს ... ...
ასევე ... ...
ეკონომიკურ ... ...

ახლა ჩემი თანამოაზრეთ: ბატონებო ვიცინ
ეკონომიკურ ... ...
... ...
ეკონომიკურ ... ...
ჩემი თანამოაზრეთ ... ...
ჩემი ... ...
... ...
... ...
... ...
... ...
... ...
... ...

ბატონ ... 12/V-2018 წ.

12.06.18. 19/031816388-03

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მოქ. [illegible]

მცხ. [illegible] №4.

ტელ. [illegible] №6.

599945572

პ/ნ 62003001183

მიმართვა

ბატონო თინათინ ნიბლოშვილო, ალბათ შეგვიძლია! ამ ქალაქში ჩვენი ქუჩების მოკირწყვლა დაიწყეს ჩვენი ასეთი ასეთი, ეს ასეთი ნაბიჯები ეს ასეთი ... — ეს მიმართვები ბატონ თინათინ მისაღები ვიყავი სულ ესეა ასეთი, ვინაიდან ... ეს ... ასეთი ... ჩემი ... : ... ასეთი ... ეს ... ...

ბოლოს, ეროვნული ჩვენი ნიშნები ასევე ქართული.
ყველა ჩვენი ეროვნული ფერადოვანი ტანსაცმელი
ეროვნულ ფერის მიგვაჩნია. თუ ასევე ვიმსჯელებთ ფერადი
ეროვნული ფერსახეობის შესახებ, ეს ყველა ეროვნულ ფერადი
ოქროსფერ ყველა ფერის ჯერია.

ამ მიზეზებიანი „ფერადოვნების ფიზიკურად" ყველა ერი
ერთ-ერთია, ალბათ ერთადერთი ფერადი ერი ამ
ჯერის ფერის ფერადი ეროვნულობისა და ამ
ეროვნული ფერადოვნებისა. ამიტომ ეს ყველა ვფიქრობ, საერთო
ფერადოვანი, ეს ის ყველაზე ვიმოქმედებდა იგივე ეროვნული,
ანუ ეროვნული ფერადი ოქროსფერ. ანუ
ეროვნული ფერადი ეროვნული ოქროსფერ ფერადი და ეროვნულ
ეროვნული ამ ეროვნულ ეროვნულზე, ფერადი ფერადებია და ეროვნულ
ფერადოვანი ეროვნული ეროვნული.

ეროვნ. ჩემი ფიქრით ეროვნულ ენაზე: ეროვნული ენა
ეროვნული ენა. ჩემი ფიქრით ეროვნული ენა ეროვნული ენა
ეროვნული ენა ეროვნული ენა, ენაზე ეროვნული ენა ყველა ენა
ეროვნული ენა ეროვნული ენა, ენაზე ეროვნული ენა ეროვნული ენა
ეროვნული ენა ეროვნული ენა ეროვნული ენა ეროვნული ენა ეროვნული ენა
ჩემი ფიქრით ეროვნული ენა ეროვნული ენა ეროვნული ენა ეროვნული ენა
ეროვნული ენა

26. 03. 18 15 - 031808599-03

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 19-01180852360

თარიღი: 26.03.2018

ადრესატი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ასლი

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური

მისამართი: გორგასლის ქ 75

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარეს

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

ქალბატონო თინათინ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან შემოვიდა მოქალაქე რიჩარდ კაპანაძის წერილი(მერიის რეგისტრ. N10/01180781794-01), რომელიც ქალაქ თბილისში, მარნეულის გზატკეცილისათვის ამირან და ვახტანგ კაპანაძეების სახელის მინიჭების საკითხს ეხება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გიგზავნით აღნიშნულ წერილს შემდგომი რეაგირებისათვის და გთხოვთ, გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ განმცხადებელს.

დანართი: 5 გვერდი.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ზაზა ცისაძე

სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. 75
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ. ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service
Veterans Affai
75 Gorgasali str., Tbilisi 0114, Georg
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.

№ 2029/02-03-14/04-01 06 . 04 . 201

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

[illegible]

ბატონო გიორგი,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში შემოვიდა ომში დაღუპულის ოჯახის წევრის რიჩარდ კაპანაძის 2017 წლის 11 იანვრის №კ-212/02-02-51 განცხადება ქუჩისთვის მისი დაღუპული შვილების ვახტანგ და ამირან კაპანაძეების სახელის მინიჭების შესახებ.

გაცნობებთ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების 23-ე მექანიზებული ბრიგადის ცალკეული საარტილერიო დივიზიონის მზვერავი, კაპიტანი ვახტანგ რიჩარდის ძე კაპანაძე 1993 წლის 5 მაისს გმირულად დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ქ. სოხუმში. ასევე სამხედრო მოსამსახურე გახლდათ ვახტანგ კაპანაძის ძმა, ამირან რიჩარდის ძე კაპანაძე, რომელიც საქართველოს შეირაღებული ძალების 23-ე ბრიგადის დივიზიონის სადაზვერვო ოცეულის შემადგენლობიდან მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში, 1992 წლის 14 აგვისტოდან სოხუმის დაცემამდე. ამირან კაპანაძემ საომარ მოქმედებებში გამოირჩეოდა განსაკუთრებული მამაცობით, ერთგულებითა და პროფესიონალიზმით. კაპიტანი ამირან კაპანაძე დაიღუპა 1994 წლის 31 აგვისტოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ვახტანგ და ამირან კაპანაძეები დაჯილდოებული არიან მედლით „მხედრული მამაცობისათვის". დეტალური ინფორმაცია ვახტანგ და ამირან კაპანაძეების სამხედრო მოღვაწეობისა და საბრძოლო დამსახურებების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ დოკუმენტაციაში.

ვახტანგ და ამირან კაპანაძეების მშობლებს, იმულებით გადაადგილებულ პირებს, რიჩარდ კაპანაძეს და ნათელა კაპანაძეს სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მონაცემთა ბაზის თანახმად, მინიჭებული აქვს შესაბამისად ომში დაღუპულის ოჯახის წევრის და მარჩენალდაკარგულის სტატუსები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამშობლოს წინაშე ვახტანგ და ამირან კაპანაძეების დამსახურების გათვალისწინებით, მათი სახელების უკვდავსაყოფად, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე შემოვდივართ წინადადებით, რომ განმცხადებლის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.03.12.041) [illegible]

[illegible]

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორს
ბატონ ვლადიმერ იმნაძეს

ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, მარნეულის გზატკეცილი №19-ში
ფაქტიურად მცხოვრების
რიჩარდ კაპანაძის
პირადი ნომერი: № 62003001183
საკონტაქტო ტელელეფონი: 599-94-55-72

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ოქვენს მიერ დაქვემდებარებაში მყოფმა უწყებამ შუამდგომლობითი წერილი გაუგზავნა ქალაქ თბილისის საკრებულოს ყოფილ თავჯდომარეს ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს თხოვნით, რომ გაეთვალიწინებია ჩემი ვაჟების ამირან კაპანაძესა და ვახტანგ კაპანაძეს სამშობლოს წინაშე დამსახურება და მათი სახელების უკვდავსაყოფად ქალაქ თბილისის რომელიმე ქუჩისთვის მიენიჭებიათ მათი სახელი, მაგრამ სამწუხაროდ ქალაქ თბილისის საკრებულომ ვერ მოასწრო გადაწყვეტილების მიღწევა. ვინაიდან მალევე საკრებულოს არჩევნები ჩატარდა და ახალი საკრებულოს შემადგენლობას სათავეში ჩაუდგა ახალი თავჯდომარე ბატონი გიორგი ტყემალაძე. ამიტომ კიდევ ერთხელ გთხოვთ განმეორებით გაიგზავნოს შუამდგომლობა ახალი თავჯდომარის სახელზე იგივეტექსტით რომელიც იყო თქვენი ხელმოწერით გაგზავნილი. მხოლოდ ძალიან გთხოვთ წერილის ბოლოში მიწერილი წინადადება შეიცვალოს ახალი შესწორებული წინადადებით, კერძოდ: სიტყვა მიმდებარედ-ის შემდეგ ისე გაგრძელდეს როგორც ჩემს მიერ არის დამატებული პირვანდელ წერილზე. ვინაიდან, თუ სიკეთე უნდათ ბარემ გაითვალიწინონ უბედური მშობლების თხოვნა, თუ არა და მაშინ თვითონ გადაწყვიტონ როგორც მაგათვისაა მისაღები.

პატივისცემით: რიჩარდ კაპანაძე

21 თებერვარი 2018 წელი

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892018069118 - 26/01/2018 17:02:31

მომზადების თარიღი
26/01/2018 17:18:13

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
გარეგანი	თელეთი		
81	03	12	041

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 2501.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:81.03.00.317;

მისამართი: ქალაქი თბილისი , მარნეულის გზატკეცილი N19

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882017958727 , თარიღი 11/10/2017 13:56:13
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/10/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- გადაწყვეტილება N M17013957/3 , დამოწმების თარიღი:09/08/2017 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმი N11 გაცემული 30.11.05წ

მესაკუთრეები:
რიჩარდ კაპანაძე,P/N: 62003001183

მესაკუთრე:
რიჩარდ კაპანაძე

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

საქართველოს რესპუბლიკა

Карттәылатәи ареспублика

Аҧсны автономтә республика



62003001183

რიჩარდ

РИЧАРД

კაპანაძე

КАПАНАЗЕ

18.09.1936

თბილისი

КАРТ

N J0003200

აფხაზეთი სოხ. აჩადარა

АКЪА АКЪ. АЧАДАРА

სოხუმის შს რგ

АКЪАТӘИ А.А.Р

05.02.1998

ლანტა ვიჩ

მოწმობის № A321004

სახელი რიჩარდ

გვარი კაპანაძე

62003001183 18/09/1936 009-02429

02.07.2015

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი

მოწმობა № 150 501 0348

რიჩარდი კაპანაძე

ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი

ომში დაღუპულის ოჯახის წევრი

სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით და შეღავათებით

თავმჯდომარე ნ. [illegible]

№ 150 501 0348

წერილის ნომერი: **03-031919815**
თარიღი: **17/07/2019**
პინი: **8793**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ გიორგი ებანოიძეს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი რიჩარდ კაპანაძის 2018 წლის 12 ივნისის საქმე #19/031816388-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს ერთ-ერთი ქუჩისთვის ვახტანგ და ამირან კაპანაძეების სახელის მინიჭებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ვახტანგ და ამირან კაპანაძეების ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 8 (რვა) გვერდი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

18.07.19 15-03191993-03

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

URBANULI GANVITAREBIS SAQALAQO SAMSAXURI

წერილის ნომერი: 67-01191983241
თარიღი: 17/07/2019
პინი: 4926

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 17.07.2019 წლის #03-031919815 (17.07.2019წ. #14-01191981122-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, ჩისების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით (იხ. დანართი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ამირან კაპანაძე

(1962-1994)

კაპიტანი, დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის, მიწიჭებული აქვს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი.

დაიბადა 1962 წელს ქ. სოხუმში. 1980 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში ამიერბაიკალის სამხედრო ოლქში. 1984 წელს დაამთავრა ქ. ჩიტის პოლიტიკური სკოლა. 1982-1986 წლებში სამხედრო სამსახური განაგრძო ავღანეთში საბჭოთა კავშირის დაზვერვის მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების ნაწილში. 1987 წელს მიენიჭა კაპიტნის წოდება. 1990 წლის დეკემბრიდან სამაჩაბლოში ეროვნული გვარდიის რიგებში, შემდგომი სამშვიდობო ძალებში მსახურობდა. 1992 წლის 14 აგვისტოდან აფხაზეთში სამხედრო კონფლიქტის დროს ჩაირიცხა სოხუმის ბატალიონში, შემდგომ ეროვნული გვარდიის III ბრიგადაში დაზვერვის უფროს ოფიცრად. 1992 წლის 20 სექტემბრიდან ირიცხებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების 23-ე ბრიგადის N 67 111 სამხედრო ნაწილში დაზვერვის უფროსად. კაპიტან ამირან კაპანაძეს არაერთხელ გამოუჩენია თავი ბრძოლის ველზე, როგორც გამჭრიახ მზვერავს. ის თავდადებით და უსაზღვრო პროფესიონალიზმით ასერსებდა მტრის განლაგებაში შეღწევა არეულობა. მის მიერ გადმოცემული კორექტირებით არაერთი ჯავშან-ტექნიკა თუ ცოცხალი ძალა იქნა განადგურებული.

1993 წლის 15-16 მარტს ერთ-ერთი შემოტევის დროს გამოიჩინა განსაკუთრებული მამაცობა. ალყაშემორტყმილი განაგრძობდა მოწინააღმდეგის მოგერიებას და ამასთანავე შტაბს აწვდიდა საჭირო ინფორმაციას, რის გამოც ხერხდებოდა ეფექტური საარტილერიო შეტევა. ერთ-ერთი შეტევის დროს იგი დაიჭრა, მაგრამ მაინც არ ტოვებდა ბრძოლის ველს. ამირან კაპანაძეს გააჩნდა განსაკუთრებული ალღო, ამოეცნო მოწინააღმდეგის მანევრი. ძას თახაძებრძოლებმა მეტსახელად შეარქვეს „ძაესტრო“, რაც ზუსტად შეესატყვისებოდა მის სამხედრო ხელოვნებას. დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის“. დაიღუპა 1994 წლის 31 აგვისტოს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს.

დაკრძალულია ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



ვახტანგ კაპანაძე

(1968 -1993)

კაპიტანი, მზვერავი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის“.

დაიბადა 1968 წლის 9 ივნისს ქ. სოხუმში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1986 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, მსახურობდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1992 წლის ოქტომბრიდან ჩაირიცხა 23-ე ბრიგადის ცალკეული საარტილერიო დივიზიის მზვერავად.

აფხაზეთში სამხედრო კონფლიქტის დროს თავი გამოიჩინა, როგორც უშიშრმა მებრძოლმა. მისი კორექტირებით მოწინააღმდეგის არაერთი ტექნიკა და ცოცხალი ძალა იქნა განადგურებული.

1993 წლის 5 მაისს გუმისთის მისადგომებთან, ერთ-ერთ სამხედრო დავალების შესრულების დროს გმირულად დაეცა. მძიმედ დაჭრილი თანამებრძოლებმა მიიყვანეს სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, მაგრამ ექიმებმა ვეღარ შეძლეს მისი გადარჩენა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისთვის დაჯილდოებულია მედლით “მხედრული მამაცობისთვის“.

დაკრძალულია სოხუმში, ლეჩქოფის სასაფლაოზე.